

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიებს

აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- 1.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის.
- 1.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- 1.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
- 1.4. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

2. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

- 2.1. ბიოქიმია (1 ვაკანსია-პროფესორი; 1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
- 2.2. ელექტრო ინჟინერია (1 ვაკანსია- პროფესორი);
- 2.3. მევენახეობა (1 ვაკანსია- პროფესორი, 1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
- 2.4. სატყეო საქმე (1 ვაკანსია-პროფესორი);
- 2.5. მოლეკულური ბიოლოგია (1 ვაკანსია-პროფესორი, 1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
- 2.6. ფიზიკა (2 ვაკანსია- პროფესორი);
- 2.7. კვების ტექნოლოგია (1 ვაკანსია-პროფესორი);
- 2.8. ბიოტექნოლოგია (1 ვაკანსია- ასოცირებული პროფესორი);
- 2.9. ბიოუსაფრთხოება (1 ვაკანსია- ასოცირებული პროფესორი);
- 2.10. გენეტიკა (1 ვაკანსია - პროფესორი);
- 2.11. ქსენობიოქიმია (1 ვაკანსია - პროფესორი);
- 2.12. მეხილეობა (1 ვაკანსია - ასოცირებული პროფესორი);
- 2.13. აგრონომია (1 ვაკანსია - პროფესორი; 1 ვაკანსია- ასოცირებული პროფესორი, 1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი);
- 2.14. აგრო-ბიოტექნოლოგია (1 ვაკანსია - პროფესორი);

2.15. ზოგადი ქიმია (1 ვაკანსია - პროფესორი);

2.16. ფილოსოფია (1 ვაკანსია - ასისტენტ პროფესორი) ;

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2020 წლის 6 მარტიდან - 10 მარტის ჩათვლით.**

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

4.1. ბიოგრაფია (CV);

4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);

4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;

4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;

4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.com/200353001263436>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2020 წლის 11 მარტიდან - 2020 წლის 15 მარტის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2020 წლის 16 მარტიდან - 2020 წლის 20 მარტის ჩათვლით.**

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

9. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, დიღმის საუნივერსიტეტო კამპუსი

ვებ-გვერდი: www.agruni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@agruni.edu.ge